

1. ხედვა: რა გესახებათ თქვენი, როგორც საქართველოს პრეზიდენტის ყველაზე დიდ ამოცანად?

ჩემი, როგორც საქართველოს პრეზიდენტის ყველაზე დიდი ამოცანა იქნება, საქართველოს იურისდიქციის აღდგენა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებულ საზღვრებში.

2. განათლება: როგორია თქვენი ხედვა განათლების პოლიტიკის მიმართ? როგორ პოლიტიკას უჭერთ მხარს დაწყებითი, საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად?

განათლების სისტემაში დაინერგება საქართველოზე მორგებული ევროპული ტიპის მოდელი.

დაწყებით სკოლებში მოგვარდება მოსწავლეზე ზედამხედველობის სისტემა, სკოლის ინვენტარის პრობლემა, კვებისა და გახანგრძლივებულის ტარიფები. ამ უკანასკნელთა ზომი კი განისაზღვრება მშობლის შემოსავლიდან გამომდინარე. სკოლის შიდა და გარეგანი ღონისძიებები დაფინანსდება ადგილობრივი და სახელისუფლებო ბიუჯეტიდან.

აუცილებელია განათლების სამინისტროს დეცენტრალიზაცია – დაქვემდებარებიდან უნდა გამოვიდეს და მუნიციპალიტეტებს უნდა გადაეცეს საგანმანათლებლო დაწესებულებები (სასკოლო, პროფესიული), ინფრასტრუქტურა (მოწყობა და განვითარება), საბუღალტრო-საანგარიშგორებო და მანდატურის სამსახური. რაც შეეხება მასწავლებელთა თუ დირექტორთა მიმართ სადამსჯელო ღონისძიების გატარების უფლებას, განათლების სამინისტროს მხოლოდ საკვალიფიკაციო სერთიფიკატის ჩამორთმევის უფლება უნდა ჰქონდეს. სხვა ყველანაირი კანონ გადაცდომის განხილვა კი სასამართლოს პრეროგატივა უნდა იყოს.

სკოლის საშუალო საფეხურიდან უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის წესი იგივე დარჩება.

3. გადასახადები: თქვენი აზრით, როგორი საგადასახადო სისტემაა მისაღები საქართველოსთვის და რა პრინციპით უნდა განისაზღვრებოდეს საშემოსავლო გადასახადი?

საგადასახადო სისტემა, ძირითადად, იგივე დარჩება რაც ამჟამად მოქმედებს. საჭიროდ მიმაჩნია, საშემოსავლო გადასახადთან დაკავშირებით გარკვეული ცვლილების შეტანა. კერძოდ, უნდა შემცირდეს ანაზღაურების საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის დონე და გახდეს არსებულის 50%. ხოლო დარჩენილი 50% კი უნდა გადავიდეს ერთიანი სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო ფონდში.

4. **ეკონომიკა:** როგორია თქვენი ხედვა ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად? რა არის პრიორიტეტული და რა კონკრეტულ ინიციატივებს შესთავაზებდით საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს?

აუცილებელია სახელმწიფომ ბიზნესისათვის შექმნას პოლიტიკურად სტაბილური გარემო, რაც მოიზიდავს ინვესტორებს.

აუცილებელია ადგილობრივი პროდუქციის ხარისხის ზრდა, რაც ხელს შეუწყობს იმპორტს.

უნდა წამოიწიოს და პრიორიტეტად გახდეს სოფლის მეურნეობა, აუცილებელია გაიცეს მცირე და საშუალო ბიზნეს სესხები წლიური 2–5 %. პირველ წელს მოგების გადასახადი არ უნდა გადაიხადონ. ყოველი მომდევნო წელს კი გადასახადი 2%-ით უნდა გაიზარდოს.

ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფას, კერძო ინვენსტიციებთან ერთად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებულმა პროექტებმაც უნდა შეუწყოს ხელი. ეს პროექტები, უმთავრესად, ისეთი პროექტები უნდა იყოს, რომელიც ეკონომიკურ უკუგებას მოიტანს. კონკრეტულად, ჩემი პრეზიდენტობის პირველ წელს, მთავრობასა და პარლამენტს შევთავაზებდი, სახელმწიფო ბიუჯეტში დამატებით გამოინახოს 100 მილიონ ლარამდე დაფინანსება. ამ თანხით ოთხ-ხუთ რეგიონში ისეთი დარგის სრული ციკლის ამუშავება შეიძლება, რაც ადგილობრივ მოსახლეობის დასაქმებასთან ერთად, ეკონომიკურ უკუგებასაც მოიტანს და მომავალში თავადვე შეძლებს განვითარებას. კონკრეტულად, ეს არის მეცხოველეობა, მებოსტნეობა, მეხილეობა და მსუბუქი მრეწველობის (მაგ. კვების მრეწველობა) კომპლექსური დარგი.

როგორც ადგილობრივ, ისე უცხოელ პროდუქციის მწარმოებლებს ხელს შეუწყობს ე.წ. რეგრესული საგადასახადო რეჟიმის დაწესება. ანუ, რაც უფრო ვითარდება წარმოება და იზრდება მოგება, მით უფრო ნაკლები გადასახადის გადახდა უწევს მწარმოებელს. (პირობითად, თუ რომელიმე საწარმომ, N რაოდენობის პროდუქცია აწარმოა და გადასახადების სახით ბიუჯეტში შეიტანა ვთქვათ 1000 ლარი, თუ მომავალ წელს ის 10% გაზრდის პროდუქციის წარმოებას და რეალიზებას, ასეთ შემთხვევაში ბიუჯეტში შესატანი თანხა წარმოებულ პროდუქციაზე 10% შეუმცირდება.) ეს გარკვეული ეკონომიკური სტიმული იქნება.

5. **დასაქმება:** თქვენი აზრით, რა არის ის ძირითადი ნაბიჯები, რაც სახელმწიფომ უნდა გადადგას უმუშევრობის პრობლემის მოსაგვარებლად?

უმუშევრობა გლობალური ხასიათის პრობლემაა. საქართველოში მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა, რასაც ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებმა შეუწყო ხელი. აქედან გამომდინარე, საქართველოდან მოსახლეობის გადინების მაჩვენებელი მოიმატებს.

მთავარ პრიორიტეტად რჩება ინვესტიციების მოზიდვა, სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ტურზიზმის განვითარება. დღეისათვის სოფლის მეურნეობის დარგში მოსახლეობის 45% არის დასაქმებული. სამომავლოდ, სოფლის მეურნეობის პროდუქციის

ექსპორტის ზრდასთან ერთად უნდა ვეცადოთ, რომ საქართველოში მოყვანილი პროდუქცია ადგილზე მოვიხმაროთ. მეორე მთავარი ამოცანა, რითაც დასაქმებას შევუწყობთ ხელს, არის ინვესტიციების დონის ზრდა.

დასაქმების თვალსაზრისით გაიცემა წლიური 5%-იანი სესხი არა თანხით, არამედ საჭირო პროდუქციით.

უნდა შემუშავდეს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმა და ამასთანავე, უნდა შეფასდეს ჩვენი შესაძლებლობები. აუცილებლად უნდა წარმოჩნდეს ის პრიორიტეტული დარგები, რომელთა ამუშავებით სარგებელს ნახავს როგორც ჩვენი ქვეყანა, ასევე საერთაშორისო თანამეგობრობა. ჩემი ხედვით, პრიორიტეტულია:

- საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი ინფრასტრუქტურის ამოქმედება;
- მთისა და საზღვაო ტურისტული ინფრასტრუქტურის ამოქმედება საშუალო ფინანსური შესაძლებლობის მქონე ადამიანებისათვის;
- ეკოლოგიურად სუფთა კვების პროდუქტების, გადამამუშავებელი და მსუბუქი მრეწველობის დარგების ამუშავება;
- მომსახურების სფეროში ევროსტანდარტის ნორმების დამკვიდრება;
- მეტი ინვენსტიციის მოზიდვა;
- განახლებადი ენერჯის წყაროების აშენება;
- სახელმწიფოს მხრიდან შეღავათების დაწესება იმ ინვენსტორებისათვის, რომლებიც ადგილობრივ კადრებს დაასაქმებს;
- ოჯახურ ბიზნესის განვითარება; (საკანონმდებლო დონეზე ერთხელ და საბოლოოდ მოწესრიგდეს და განისაზღვროს, თუ რა გადასახადები ეკისრებათ და რა შეღავათებით შეიძლება ისარგებლონ ამ ტიპის ბიზნესში ჩართულმა პირებმა).

6. ჯანდაცვა: *რა პოლიტიკასა და კონკრეტულ გადაწყვეტილებებს დაუჭერდით მხარს რათა გაიზარდოს ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა და ამალდეს მისი ხარისხი?*

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, საშემოსავლო გადასახადის 50 % უნდა გადავიდეს სახელმწიფო დაზღვევის ერთიან ფონდში. გარდა ამისა, ბიუჯეტიდან სრულად უნდა მოხდეს მცირეწლოვანთა სამკურნალო ხარჯების დაფარვა.

7. სოციალური უსაფრთხოება: *რა პოლიტიკას დაუჭერდით მხარს სოციალური უსაფრთხოების გაუმჯობესების მისაღწევად?*

სოციალური უსაფრთხოების გაუმჯობესება, პირველ რიგში, ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხის ამაღლებაზეა დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, სოციალური უსაფრთხოებაც მხოლოდ დემოკრატიული კანონმდებლობით შეიძლება იყოს გარანტირებული. ამ მხრივ, ხარვეზები ჯერ კიდევ არსებობს. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ გვაქვს სრულყოფილი დემოკრატიული სახელმწიფო. პარლამენტი იმისთვის არსებობს, რომ ეს საკანონმდებლო

ხარვეზები გაასწოროს. მთავრობა კი იმისათვის, რომ კანონები მოქმედებაში მოიყვანოს. მე კი, როგორც პრეზიდენტი ვიქნები გარანტი რომ ეს კანონები შესრულდეს:

- სოციალური უზრუნველყოფის სამსახურით სარგებლობის საყოველთაო უფლება;
- შრომის უუნარო პირთა სოციალური ინტერგაციისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება. ხანდაზმულთა სოციალური დაცვა;
- ოჯახის, როგორც საზოგადოების ძირითადი უჯრედის სოციალური, სამართლებრივი და ეკონომიკური დაცვა;
- ბავშვებისა და ახალგაზრდების სოციალური დაცვა;
- დასაქმებულთა უფლებების დაცვა – დასაქმების სფეროში თანაბარი შესაძლებლობები სქესობრივი დისკრიმინაციის გარეშე;
- უწყვეტი პროფესიული გადამზადების უფლება;
- სამუშაოზე მიღების მინიმალური ასაკი განისაზღვროს 16 წელი, იმ გამონაკლისის გარდა, როდესაც ბავშვები დასაქმებულები არიან კანონით გათვალისწინებულ მსუბუქ სამუშაოზე, რაც ზიანს არ მიაყენებს მათ ჯანმრთელობას, მორალს და განათლებას;
- რეფორმები ორსულობისა და ბავშვის გაჩენის შემდგომ;
- ქალთა დაცვის უფლება, როგორც დასაქმებულ ასევე უმუშევარ ქალთათვის;
- უფლება საცხოვრებელ ადგილზე;
- დისკრიმინაციის აკრძალვა.

8. ადგილობრივი თვითმმართველობა: თქვენი აზრით, რა პრინციპით უნდა იყოს ორგანიზებული ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში?

პირველ რიგში უნდა გაუქმდეს ის საბჭოური გადმონაშთი რასაც ქვეყნის რაიონული დაყოფა ჰქვია. როცა რაიონის საკრებულო ან გამგეობა წვევებს რომელიმე სოფლის შიდა საქმეს, მაშინ რაღა საჭიროა ამ სოფელს ჰყავდეს გამგებელი?! ამიტომ, ყველა დღეს არსებულ სოფელს, ქალაქს, დაბას, დასახლებას თუ ეგრეთწოდებულ რაიონულ ცენტრს უნდა დაუდგინდეს თავისი ადმინისტრაციული საზღვრები. ამ საზღვრების მიხედვით უნდა ჩატარდეს საკრებულოების არჩევნები და ამ საკრებულოებმა უნდა დანიშნონ თავიანთი გამგებლები. ამ ფონზე დასაშვებად მიმაჩნია რამოდენიმე სოფელმა მოახდინოს ერთ საკრებულოდ გაერთიანება, ამით დაეზოგებათ საკრებულოს შესანახი ხარჯები, ხოლო გადახდილ გადასახადებს თავიანთი სოფლის საჭიროებებს მოახმარენ.

ასევე მთელი რიგი ფუნქციები, რომლებიც სხვადასხვა სამინისტროებს აქვთ მიტაცებული, (ეს არის სოფლის მეურნეობა და პირველ რიგში, განათლება) უნდა გადაეცეს ადგილობრივ თვითმმართველობებს და თუ გარკვეულ მიზეზთა გამო ვერ შეძლებენ შენახვას, მაშინ არამიზნობრივ ხარჯებს აღარ გასწევენ. თუ მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი თანხები მიზნობრივი ხარჯებისათვის, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მოხდება ცენტრალური ბიუჯეტიდან მათი დახმარება.

9. ტერიტორიული მთლიანობის საკითხები: *რა კონკრეტულ ნაბიჯებს გადადგავთ ხალხთა შორის ნდობისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის?*

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, პირველ რიგში, მთელი რიგი საერთაშორისო პირობები და უფრო კონკრეტულად კი, რუსეთის ფაქტორი აფერხებს. ხოლო რუსული გავლენის სფეროში დაბრუნებით, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა არ მოხდება, ამაში ასი პროცენტით ვარ დარწმუნებული. ამიტომ, ჩვენ სხვა გზას უნდა დავადგეთ. პირველ რიგში, ეს არის ევროპული ტიპის დემოკრატიული სახელმწიფოს აშენება, ქვეყნის ეკონომიკის ფეხზე დაყენება, ნატოსა და ევროკავშირში სრულუფლებიანი სტატუსით გაწევრიანება და ამის პარალელურად, აფხაზეთთან და ოსებთან სახალხო დიპლომატიის იმ დონეზე აყვანა, რომ მათთვის მისაღები იყოს ერთ სახელმწიფოებრივ სივრცეში ჩვენთან ყოფნა და არა რუსეთის დანამატად არსებობა.

10. უმცირესობათა უფლებები: *რას ფიქრობთ სექსუალურ უმცირესობათა უფლებების დაცვისა და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფის საკითხზე?*

საქართველოს კანონმდებლობა, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, არ ზღუდავს სექსუალურ უმცირესობათა უფლებებს. ამ უმცირესობათა წარმომადგენლები ეკლესიაში ჯვარს თუ ვერ იწერენ ეს მიაჩნიათ უფლებების დარღვევად? სამსახურსა და სწავლა-განათლებაში კი არამგონია მათ უფლებებს სახელმწიფო ზღუდავდეს და თუ კონკრეტულად რამე რეციდივს აქვს ადგილი, ამისთვის არსებობს სასამართლო და სასამართლო გამოიტანს განაჩენს – მტყუანისა და მართალის საკითხს.

11. ქალთა მონაწილეობა პოლიტიკაში: *გთხოვთ, აღწეროთ თქვენი ინიციატივები (თუკი ასეთი გაქვთ) და პოზიცია ქალთა პოლიტიკაში თანამონაწილეობის გაზრდისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ.*

ქალთა პოლიტიკაში თანამონაწილეობის კანონით დარეგულირება, ანუ პოლიტიკა იქნება თუ სხვა რაიმე სახელმწიფო სამსახური იქ აუცილებლად 50% ქალი უნდა იყოს აბსურდად მიმაჩნია. პოლიტიკურ ორგანიზაცია „მამულში“, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, ეს პრობლემა არ დგას. ქალები მართლაც რომ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ორგანიზაციის საქმიანობაში. პარტიაში 63 % ქალია. ჩემს საინიციატივო ჯგუფშიც კი, ქალები ბევრად სჭარბობენ მამაკაცებს – ოთხი წევრი არის ქალი, ხოლო ერთი მამაკაცია.

12. უმცირესობათა უფლებები: *რა პოლიტიკას გაატარებდით ეთნიკური უმცირესობების უფლებათა დაცვისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი მეტი ინტეგრაციისათვის?*

პირველ რიგში, უნდა ვთქვა ის, რის თქმასაც ყველა ერიდება. თუმცა, ვთვლი რომ ამ საკითხში მოსარიდებელი არაფერია. პრობლემის არსი, თუკი ამგვარი არსებობს, მეტწილად ეთნიკურ უმცირესობათა იმ ნაწილშია, რომელიც ელემენტარულ დონეზე ვერ ფლობს სახელმწიფო ენას და ამასთან ერთად, არც დიდ სურვილს იჩენს, რომ სახელმწიფო ენა ისწავლოს. როგორც ჩანს, ისინი, არ და ვერ აცნობიერებენ, რომ ამგვარი დამოკიდებულება სახელმწიფო ენის მიმართ, თავად მათ აზარალებს. ასე რომ, სახელმწიფომ რაც არ უნდა თანხები გამოყოს, ათასგვარი პროგრამები აამუშავოს და ასე შემდეგ, შედეგი მაინც ნულთან ძალიან ახლოს მდგომი იქნება. ამიტომ ვთვლი, რომ თავად ეროვნული უმცირესობების მხრიდან უნდა წამოვიდეს მეტი აქტივობა, რათა სახელმწიფომ არსებული რესურსი სწორად წარმართოს და ენის უცოდინარობის პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ მოგვარდეს.

13. გარემოს დაცვა/ეკოლოგია: *გთხოვთ, დაგვისახელოთ თქვენი წინადადებები (თუკი ასეთი გაქვთ), რომლებიც მიმართულია უფრო ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნისაკენ.*

საქართველო მოსახლეობას პოლიტიკური კულტურა აკლია. დიდად მოჭარბებულად არც გარემოს და ეკოლოგიური მდგომარეობის მიმართ გააჩნია საკმარისი კულტურა.

მიმაჩნია, რომ ამ მხრივ ჩვენი საზოგადოების კულტურა ჯერ კიდევ დასახვეწია. პირველ რიგში, სკოლამ უნდა შთაუნერგოს მოზარდს ბუნების მიმართ სიყვარული და ასწავლოს რომ ბუნებისათვის ზიანის მიყენება საკუთარი თავისადმი ზიანის მიყენების ტოლფასია.

რაც შეეხება გასატარებელ ღონისძიებებს, ამასთან დაკავშირებით არსებობს შესაბამისი სამინისტრო, ასევე არსებობენ არასამთავრობო ორგანიზაციები და მათ მიერ წამოჭრილ პრობლემას თუ გონივრულ წინადადებას, აუცილებლად მხარს დავუჭერ და ცხოვრებაში გავატარებ.

14. საგარეო პოლიტიკა და სტრატეგიული თანამშრომლობა: *რომელ ქვეყნებთან/ქვეყანათა გაერთიანებებთან/ალიანსებთან იზრუნებთ სტრატეგიული, მათ შორის სამხედრო-სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის ფორმირებასა ან განმტკიცებაზე? რა ნაბიჯებს გადადგამთ ამ მხრივ? რომელი ქვეყანა/გაერთიანება/ალიანსი წარმოგიდგენიათ საქართველოს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად?*

მიუხედავად იმისა, რომ მთელ რიგ საკითხებში დღევანდელ უმრავლესობას არ ვეთანხმები, ამ მხრივ სრული თანხვედრა მაქვს იმ პოლიტიკასთან, რომელსაც ეს ძალა ატარებს. ჩვენ მივიღეთ დაპირება რომ ვილნიუსის სამიტზე საქართველო მიიღებს ევროკავშირის ასოცირებული წევრის სტატუსს. მე, ჩემი მხრივ, თავს უფლებას მივცემ განვაცხადო, რომ ძალისხმევას არ დავიშურებ რათა ასოცირებული წევრობიდან უახლოეს მომავალში

საქართველო რეალურად გახდეს როგორც ევროგაერთიანების, ასევე ნატოს სამხედრო ალიანსის წევრი.

15. რეგიონული თანამშრომლობა: როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს როლი სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის აუზში?

საქართველომ თავისი წილი სარგებელი უნდა ნახოს იმ ბუნებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე რომელიც ჩვენ გვიკავია. გასაგებია, რომ მეზობელ სახელმწიფოებთან კეთილმეგობრული დამოკიდებულება უნდა გვქონდეს და ამას არც არავინ უარყოფს, მაგრამ როცა ხედავ რომ ამ შენი კეთილმეგობრული დამოკიდებულებით, შენი მეზობელი ქვეყანა, (არ ვაკონკრეტებ ჩრდილოელი და თუ სამხრეთელი) მხოლოდ თავისთვის სარგებელს ეძებს და მის ინტერესებში სულაც არ შედის შენი წარმატებები, ასეთი დამოკიდებულება ხელს ვერ შეუწყობს კეთილმეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას.

მეორე საკითხი რომლის განხორციელებასაც შევეცდები, ეს არის სრულიად კავკასიური სახლის დაფუძნება. ვთვლი, რომ თბილისი სრულიად კავკასიის კონფედერაციის ცენტრი შეიძლება გახდეს და მასში მოქმედ კავკასიურ სახლს, პირობითად კავკასიური კონფედერაციის „პროტოპარლამენტსაც“ კი ვუწოდებდი. ამ საკითხზე ჯერჯერობით სხვას ვერაფერს ვიტყვი.

რაც შეეხება შავი ზღვის აუზის ქვეყნებს, ვფიქრობ რომ აქაც ბევრი რამ არის გასაკეთებელი, რათა ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა მეტი აქტიურობა გამოიჩინონ ჩვენი ევროკავშირში და ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით.

16. თავდაცვის პოლიტიკა: როგორ წარმოგიდგენიათ თავდაცვის ორგანიზაცია? სამხედრო სამსახურის როგორ ფორმას უჭერთ მხარს?

თავდაცვის ორგანიზება, ვფიქრობ, სწორი გზით მიდის. მიმაჩნია რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები რიცხოვნობად დაახლოებით იმ რაოდენობის უნდა იყოს რამდენიც დღეს არის, დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე აუცილებელია ქვეყანას თავდაცვით ომთან ერთად, შეეძლოს სრულმასშტაბიანი პარტიზანული ომის წარმოება.

ჯარში სამსახურს რაც შეეხება, მომხრე ვარ, რომ ყველა ახალგაზრდამ და მათ შორის ქალების იმ ნაწილმაც, ვისაც ამის სურვილი ექნება, გაიაროს სამხედრო სწავლების კურსი. ვადა, ხანგრძლივობა და შესასწავლი პროგრამა სპეციალისტებთან ერთად უნდა დადგინდეს. რაც შეეხება შეიარაღებულ ძალებს, ის უნდა მოეწყოს საკონტრაქტო საფუძველზე. მასში ჩარიცხვის მსურველს გავლილი უნდა ჰქონდეს ზემოთ ნახსენები სამხედრო სწავლების კურსი. კონტრაქტით მომსახურე მიიღებს შესაბამის სამედიცინო დაზღვევას, საპენსიო უზრუნველყოფას და ბინას სახელმწიფოსაგან.

17. უსაფრთხოების პოლიტიკა: როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი არქიტექტურა/პრინციპები?

ესაა მჭიდრო თანამშრომლობა ნატოს ალიანსთან, ალიანსში გაწევრიანება და ალიანსის პრინციპების განუხრელად შესრულება.

18. ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა: თქვენი აზრით, უნდა აიკრძალოს თუ არა ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა - აბორტი? რატომ?

ვფიქრობ, ადამიანს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტით ის კლავს ნაყოფს.

საქართველოს ტრადიციული რწმენა და რელიგია ამ საკითხისადმი მკაფიო და ცალსახა დამოკიდებულებითაა გამორჩეული. იგი აბორტს კაცის კვლის ცოდვასთან ათანაბრებს. გარდა ამისა, მკვლელად მიიჩნევა არამართო ქალს, რომელმაც მუცლის მოშლის გადაწყვეტილება მიიღო, არამედ ყველას, ვინც მას ამ გადაწყვეტილების მიღებასა და ნაყოფის მოშორებაში დახმარება გაუწია.

საქართველოს კანონი ჯანმრთელობის შესახებ გვეუბნება, რომ ორსულობის შეწყვეტა დასაშვებია მხოლოდ ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში, ლიცენზირებული ექიმის მიერ და ისიც მხოლოდ მაშინ, თუ ორსულობის ხანგრძლივობა არ აღემატება თორმეტ კვირას. ამასთანავე, სავალდებულოა, ფეხმძიმე ქალს ჩაუტარდეს სათანადო გასაუბრება და აბორტის გაკეთებამდე გასული იყოს სამდღიანი მოსაფიქრებელი ვადა.

19. გადასახადები და კრედიტი: უნდა ჰქონდეთ თუ არა კრედიტორებს კრედიტის/გასესხებული თანხის იპოთეკით დატვირთული საცხოვრებელი ფართის ხარჯზე ამოღების უფლება? რატომ?

მიმაჩნია, რომ ვალს გადახდა უნდა, თუმცა ვიდრე კრედიტორი ფულს გაასესხებს, მანამდე მსესხებელს დაწვრილებით უნდა გააცნოს თუ რა შეიძლება მოჰყვეს ვალის გადაუხდელობას, თუმცა ეს მედლის ერთი მხარეა. მეორე კი არის ის, რომ კრედიტორს არ უნდა ჰქონდეს პროცენტზე პროცენტის დაწესების უფლება და ამავე დროს მოვალის საცხოვრებელ ფართს არ უნდა ეპატრონებოდეს მესამედ ან მეოთხედ ფასში.

20. მიწის საკუთრება: როგორ ფიქრობთ, უნდა შეეძლოს თუ არა უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შეიძინონ სასოფლო-სამეურნეო მიწა საქართველოში?

სასოფლო სამეურნეო მიწა, ტყე და სავარგულები უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე არ იყიდება – ასე უნდა იქნებოდეს კანონში.

რაც შეეხება არასასოფლო დანიშნულების მიწას, ვთვლი რომ ასეთი მიწა შეიძლება გაიყიდოს უცხო ქვეყნის მოქალაქეზე. ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ მიწაზე უძრავი ქონება დგას, ან უნდა აშენდეს უძრავი ქონება.

რაც შეეხება უცხო ქვეყნის მოქალაქეს რომელსაც სურვილი აქვს, საქართველოში სოფლის მეურნეობას მოკიდოს ხელი, მან უნდა მიმართოს სახელმწიფოს, მის მიერ უკვე მოძიებული მიწის იჯარით აღების ნებართვის მიღებასთან დაკავშირებით (საიჯარო ვადები და სხვა დეტალები უნდა დარეგულირდეს კანონით). საქართველოს მოქალაქე კი, რომელიც იმ მიწის მესაკუთრეა და სურს, რომ ამ მიწის გაყიდვით სარგებელი ნახოს, მან მიწა უნდა დაუბრუნოს სახელმწიფოს, რომლის ღირებულებასაც არსებულ საბაზრო ფასში (იმ ფასში, რაც საქართველოს მოქალაქეებს შორის გარიგებისას წარმოიშვება) სახელწიფო გადაუხდის.

2014 წლის ბოლომდე ამ კანონით სრულად იკრძალება უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სასოფლო-სამეურნეო მიწის მიყიდვა. აქედან გამომდინარე, ჩვენ ამ მორატორიუმის პერიოდს ვადარებთ აღმოსავლეთ ევროპის ხსენებული ქვეყნების იმ პერიოდებს, რომელშიც მათ დაწესებული ჰქონდათ აკრძალვები უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის სასოფლო-სამეურნეო მიწის მიყიდვასთან დაკავშირებით.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ კანონის პროექტი ეროვნული კანონმდებლობის სრულყოფის გზაზე დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა და მისი განხილვის პროცესს დავარქმევდი არა მარტო ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი, ეროვნული, საშვილიშვილო მნიშვნელობის მოვლენას.

როგორ მოვიქცეთ თუკი ვიცავთ სხვა მოქალაქის უფლებებსა და თუკი ის გადის სამოქალაქო ინტეგრაციას? ან იღებს საქართველოს მოქალაქეობას? გამოვიყენებ ევროკავშირის მაგალითს: სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის (მათ შორის მემკვიდრეობით მიღებულის) საკუთრების უფლება აქვთ:

- ა) საქართველოს მოქალაქეს, კომლს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს;
- ბ) უცხოელსა და საზღვარგარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირს“.